## სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
## წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
## დადგენილება №01-06-02/66

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

ქ. თბილისი 13 დეკემბერი 2023

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „ნ“ ქვეპუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ენერგეტიკის ფაკულტეტის საბჭოს 2023 წლის 24 ოქტომბრის №10 ოქმის, აკადემიური საბჭოს 2023 წლის 28 ნოემბრის №01-05-04/178 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2023 წლის 13 დეკემბრის №01-06-02/10 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2021 წლის 30 ივნისის ერთობლივი სხდომის #01-05-17/05 დადგენილებით დამტკიცებულ ენერგეტიკის ფაკულტეტის დებულებაში შეტანილ იქნეს ცვლილებები და დებულების მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) თბოენერგეტიკის, ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისა და ენერგოაუდიტის აკადემიური დეპარტამენტი №201;“ .

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

**სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)**
**სხდომის თავმჯდომარე, პროფესორი** დავით ჯაფარიძე